

საქართველოს პოლიტიკური იდენტობა

ეკატერინე ფირცხალავა; ელენე კვანჭილაშვილი

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი, ილია ჭავჭავაძის გამზ. 118 0179 თბილისი, საქართველო

ანოტაცია

პოლიტიკური იდენტობის ცნება სათავეს იღებს სოციალურ ფსიქოლოგიაში არსებული სხვადასხვა ინტერ-ჯგუფური მიდგომისგან – მაგალითად, სოციალური იდენტობის თეორია, კონფლიქტის თეორიები და სხვა. სოციალური იდენტობის მსგავსად, პოლიტიკური იდენტობა გაშინაგნებულად შეიძლება ჩაითვალოს იმ შემთხვევაში, თუკი პოლიტიკური ჯგუფის წევრობის მნიშვნელობა სრულად გათავისებულია და ის ღირებულ როლს ასრულებს ინდივიდის ან ქვეყნის ყოველდღიურ ცხოვრებაში. პოლიტიკური ფსიქოლოგიის მკვლევრები ცდილობენ თავიანთი კვლევის კონცეფციებში პოლიტიკური ქვეყნების და იდენტობის ერთმანეთთან დაკავშირებას, (Huddy, 2001)). პოლიტიკური იდენტობა არ არის ფართოდ ნაკვლევი საკითხი სპოლიტიკური ფსიქოლოგიების მიერ საქართველოში.. სამაგიდო კვლევისა და სიღრმისეული ინტერვიუების მეშვეობით მიღებული მასალების ანალიზის საფუძველზე, გავანალიზეთ სამეცნიერო დისკუსიის ყველა ის მიმართულება, რომელიც ქმნის ამ მიმართულებით დღევანდელი კვლევების დღის წესრიგს. ჩვენ შევეცადეთ აქცენტი დაგვესვა პოლიტიკური იდენტობის მნიშვნელობაზე და რა გავლენა შეიძლება ამ იდენტობამ მოახდინოს ქვეყნის პოლიტიკური კურსის განსაზღვრისას მოქალაქეების მხრიდან ამ კურსის მხარდაჭერაზე. ნაშრომში მოცემულია პასუხები შემდეგ კითხვებზე: როგორია საქართველოს პოლიტიკური იდენტობა, რა განსაზღვრავს მას და როგორია საქართველოს ტრანს-ატლანტიკური ინტეგრაციის მომხრეთა დამოკიდებულება საქართველოს პოლიტიკური იდენტობის მიმართ – ამ სტატიით შევეცდებით, ამ კითხვებზე მსჯელობას დავუდოთ საფუძველი.

საკვანძო სიტყვები: პოლიტიკური იდენტობა, ევროინტეგრაცია, გეოპოლიტიკა; ღირებულებები.

შესავალი

„მე ქართველი ვარ, მაშასადამე, ვარ ევროპელი“, ეს ფრაზა, მაშინდელმა პრემიერ მინისტრმა ზურაბ ჟვანიამ, ევროპის საბჭოს სხდომაზე წარმოთქვა, რომელმაც საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის გეზს დაუდო საფუძველი. 1999 წლის 27 აპრილს, საქართველო ევროპის საბჭოს წევრი გახდა.

პოლიტიკური იდენტობა (Houghton, 2009) ლიტერატურაში განმარტებულია, როგორც პოლიტიკურად რელევანტურ ჯგუფებთან და ამ ჯგუფების წევრობასთან იდენტიფიკაციისა და ატრიბუციის პროცესი. აქ იგულისხმება როგორც პოლიტიკური პარტიები, ისე ნაციონალური, ეთნიკური, ლინგვისტური ან გენდერული ჯგუფებიც.

მიკუთვნებულობის ასეთი ფართო სპექტრი იმით არის განპირობებული, რომ პოლიტიკური იდენტობის ცნება სათავეს იღებს სოციალურ ფსიქოლოგიაში არსებული სხვადასხვა ინტერ-ჯგუფური მიდგომისგან – მაგალითად, სოციალური იდენტობის თეორია (Tajfel & Turner, 1970; Roccas & Brewer 2002), კონფლიქტის თეორიები (Tajfel, 1981) Turner et al (1987)) და სხვა.

სოციალური იდენტობის მსგავსად, პოლიტიკური იდენტობა გაშინაგნებულად შეიძლება ჩაითვალოს იმ შემთხვევაში, თუკი პოლიტიკური ჯგუფის წევრობის მნიშვნელობა სრულად გათავისებულია და ის ღირებულ როლს ასრულებს ინდივიდის ან ქვეყნის ყოველდღიურ ცხოვრებაში.

ამ სტატიაში ნაცადია სამაგიდო კვლევისა და სიღრმისეული ინტერვიუების მეშვეობით მიღებული მასალების ანალიზის საფუძველზე საქართველოს პოლიტიკურ იდენტობის და მისი ევრო-ატლანტიკურ მისწრაფებებთან კავშირის განხილვა. კვლევა შეეცადა გაეცა ისეთ კითხვებზე პასუხები, როგორებიცაა: როგორია საქართველოს პოლიტიკური იდენტობა, რა განსაზღვრავს მას და როგორია საქართველოს ტრანს-ატლანტიკური ინტეგრაციის მომხრეთა დამოკიდებულება საქართველოს პოლიტიკური იდენტობის მიმართ – ამ სტატიით შევეცდებით, ამ კითხვებზე მსჯელობას დავუდოთ საფუძველი.

ლიტერატურის მიმოხილვა

პოლიტიკური ფსიქოლოგიის მკვლევრები ცდილობენ თავიანთი კვლევის კონცეფციებში პოლიტიკური ქცევების და იდენტობის ერთმანეთთან დაკავშირებას, (Huddy, 2001). აქვე უნდა ვთქვათ, რომ პოლიტიკური იდენტობა არ არის ფართოდ ნაკვლევი საკითხი. ამ სტატიაში ჩვენ შევეცადეთ მოგვეცვა სამეცნიერო დისკუსიის ყველა ის მიმართულება, რომელიც ასე თუ ისე, ქმნის ამ მიმართულებით დღევანდელი კვლევების დღის წესრიგს. თუმცა, ჩვენ შევეცდებით აქცენტი დავსვათ პოლიტიკური იდენტობის მნიშვნელობაზე და იმაზე, თუ რა გავლენა შეიძლება მან მოახდინოს ქვეყნის პოლიტიკური კურსის განსაზღვრისას და მოქალაქეების მხრიდან ამ კურსის მხარდაჭერისთვის.

პოლიტიკურ ფსიქოლოგიაში რამდენიმე მიმართულებაა, რომელიც განიხილავს იდენტობის ცნებას. *ერთი ასეთია* პატრიოტიზმის, ნაციონალური იდენტობის და მულტიკულტურალიზმის იდენტობის ჭრილში განხილვა. ამ მიმართულების მიხედვით, ნაციონალური იდენტობა სუბიექტური ცნებაა და ის ძირითადად ეფუძნება იმ ღირებულებებს, რაც გაზიარებულია ფართოდ ქვეყნის მოქალაქეების მხრიდან. საქართველოს შემთხვევაში, შეგვიძლია ვთქვათ, რომ იყო “ნამდვილი ქართველი” ნიშნავს გწამდეს ღმერთის და ფორმალურად იყო დაკავშირებული საქართველოსთან.

საქართველოს მოსახლეობის აზრით, იმისთვის, რომ ადამიანი ჩაითვალოს ქართველად პირველ რიგში მნიშვნელოვანია, რომ იგი საკუთარ თავს მიიჩნევდეს ქართველად (35%) და სულ მცირე ერთი მშობელი მაინც ყავდეს ქართველი (29%). დაახლოებით ყოველი მეათე ადამიანის აზრით მნიშვნელოვანია ქართული გვარი (13%) და მართლმადიდებლობა (10%). მცირე ნაწილი კი ფიქრობს, რომ აუცილებელია

ქართულად საუბარი (5%) ან საქართველოში ცხოვრება (4%) (Survey on liberal and conservative values, 2018).

მეორე მიმართულება, რომელზეც პოლიტიკური ფსიქოლოგია საუბრობს, ეთნიკური და რასობრივი იდენტობის შესწავლაზე აკეთებს აქცენტს. აქ მთავარი მიგნებაა, რომ ჯგუფისადმი მაღალი მიჯაჭვულობა და ჯგუფის განხილვა, როგორც უსაფრთხოების გაზრდის შესაძლებლობის, აყალიბებს პოლიტიკურ ატიტუდებს და ქცევას, რომელიც ძირითადად ჩვენ და ისინი პარადიგმის განმტკიცებას უწყობს ხელს.

კვლევების თანახმად (Knowledge of and attitudes toward the EU in Georgia, 2021) საქართველოს მოსახლეობა საკუთარი თავის იდენტიფიცირებას ახდენს უპირველესყოფლისა მის ეთნიკურობასთან (59%), შემდგომ კი საკუთარ ეთნოსსა და ევროპელობასთან (26%). მხოლოდ მცირე ნაწილი ახდენს იდენტიფიცირებას ეთნოსსა და კავკასიელობასთან (9%) ან მხოლოდ კავკასიელობასთან (3%) (Caucasus Barometer, 2021).

ეთნიკურად ქართველებისთვის განკუთვნილ ღია კითხვაზე, თუ როგორ აღწერდნენ ქართველს 3 სიტყვით, გამოკითხვის მონაწილეთა აზრით, იყო ქართველი, პირველ რიგში, ნიშნავს იყო პატრიოტი (56.3%), ტრადიციული (18.1%), რელიგიური (8.5%), ამაყი (8.2%), სტუმართმოყვარე (7.1%), მართლმადიდებელი (6.7%), ერთგული. (4.8%), პატიოსანი (4.3%) და სხვა (ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაცია, 2020).

გამოკითხულთა 69% ეთანხმება ან სრულიად ეთანხმება, რომ ომი, რომელშიც საქართველო მონაწილეობდა 1991 წელს სსრკ-სგან დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, ცხადყოფს ეთნიკური უმცირესობების მიმართ მეტი ტოლერანტობის აუცილებლობას. ხოლო 22% არ ეთანხმება ან საერთოდ არ ეთანხმება ამ აზრს. საზოგადოების აზრი მკვეთრად იყოფა იმ აზრზე, რომ ეთნიკური და ენობრივი უმცირესობები საქართველოსთვის „უსაფრთხოების პოტენციურ საფრთხეს“ წარმოადგენს, როგორც ეს ცხინვალის რეგიონში/ს.ოსეთში და აფხაზეთში სეპარატისტულმა ომებმა აჩვენა. 47% ეთანხმება, ხოლო 42% არ ეთანხმება ამ აზრს (The Future of Georgia: Attitudes to Europe, 2021).

გამოკითხვის მიხედვით, 57% ფიქრობს, რომ 1990-იან წლებში აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებში შეიარაღებული კონფლიქტების თავიდან აცილება იყო შესაძლებელი, მხოლოდ 18% არ ეთანხმება, ხოლო 23% არ არის დარწმუნებული ამ აზრთან დაკავშირებით. რაც შეეხება 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომს, 55% არ ეთანხმება იმას, რომ ყველაფერი გაკეთდა ომის თავიდან ასაცილებლად, ხოლო 28% დაეთანხმა (The Future of Georgia: Attitudes to Europe, 2021).

და *ბოლოს*, *მესამე მიმართულება* პოლიტიკურ ფსიქოლოგიაში პოლიტიკურ იდენტობას განიხილავს, როგორც უმსხვილეს პოლიტიკურ პარტიასთან იდენტიფიკაციის ან საკუთარი იდეოლოგიის ერთგულების შედეგს. იდეოლოგიისადმი ერთგულება ეფუძნება არა პოლიტიკური იდენტობის ინდივიდუალურ ასპექტებს, არამედ უფრო ფართოდ იდენტობის კოლექტიურ ბუნებას. ევროატლანტიკური კურსის მხარდაჭერა და ერთგულება ასეთი კოლექტიური პოლიტიკური იდენტობის მაგალითია.

საქართველოს მოსახლეობის თითქმის აბსოლუტური უმრავლესობა ამბობს, რომ იგი ამაყია იყოს საქართველოს მოქალაქე (98%) (CRRC, 2021). საქართველოს მოსახლეობის სამ მეხუთედზე მეტი (63%) იზიარებს აზრს, რომ იყო ქართველი ნიშნავს იყო ევროპელი. მხოლოდ მესამედზე ნაკლები (32%) არ იზიარებს აზრს იმასთან დაკავშირებით, რომ ქართველობა მოიცავს ევროპელობასაც (Caucasus Barometer, 2020).

საქართველოს მოსახლეობა ევროკავშირში ინტეგრაციისგან უფრო მეტ სარგებელს ხედავს, ვიდრე საფრთხეს. მოსახლეობის თითქმის ყოველი მეორე წევრი თვლის, რომ ევროკავშირი საფრთხეს არ წარმოადგენს ქართული ტრადიციებისთვის (59%), თუმცა დაახლოებით მესამედი (35%) ფიქრობს, რომ ევროკავშირი საფრთხეს წარმოადგენს საქართველოსთვის. აქვე აღსანიშნავია, რომ საქართველოს მოსახლეობა აფიქსირებს, რომ თუ მათ მოუწევდათ არჩევანის გაკეთება გამხდარიყვნენ ნატოსა ან ევროკავშირის წევრი ან დაებრუნებინად აფხაზეთი და ოსეთი, ისინი აირჩევდნენ აფხაზეთისა და ოსეთის დაბრუნებას (80%). აღნიშნული ტენდენცია ფიქსირდება, როგორც თბილისში (75%), ასევე სასოფლო (79%) და საქალაქო დასახლებებში (80%). მოსახლეობიდან თითქმის ყოველი მეორეს აზრით ევროკავშირი არ წარმოადგენს საფრთხეს საქართველოს ტრადიციებისთვის (59%), თუმცა დაახლოებით მესამედის აზრით (35%) ევროკავშირი საფრთხეა საქართველოსთვის. (CRRC, 2021).

მეთოდოლოგია

კვლევის პროცესში გფამოყენებული იქნა სამაგიდო კვლევისა და სიღრმისეული ინტერვიუების მეთოდები. მიღებული მასალები და ინტერვიუებით მიღებული ნარატივები გაანალიზდა საქართველოს პოლიტიკური იდენტობის და მისი ევრო-ატლანტიკურ მისწრაფებებთან კავშირი თვისებრივი კონტენტანალიზის მეთოდის გამოყენებით. კვლევის პროცესში გამოყენებული იქნა შერჩევის არააღბათური მეთოდი, „თოვლის გუნდა“. მონაწილეობა მიუღო 25 რესპონდენტმა (15 ქალი 10 მამაკაცი, ასაკი 20 და 55 წლამდე ვარირებდა) ინტერვიუები რესპონდენტებისთვის მოსახერხებელ ადგილას ტარდებოდა. საველე სამუშაოები 2022 წლის ივნისსა და ივლისში ჩატარდა. მოცემულ სტატიაში განხილულია დამოკიდებულება საქართველოს პოლიტიკური იდენტობის მიმართ, რა განსაზღვრავს მონაწილეთა აზრით პოლიტიკურ იდენტობას, და როგორია საქართველოს ტრანს-ატლანტიკური ინტეგრაციის მომხრეთა დამოკიდებულება საქართველოს პოლიტიკური იდენტობის მიმართ.

ძირითადი მიგნებები

შავი ზღვის რეგიონში საქართველოს მდებარეობა წარმოადგენს განვითარებისა და ამაღდროულად, საფრთხის წყაროს, ვინაიდან ერთი მხრივ, ორ დიდ პოლიტიკურ აქტორს შორის (რუსეთი და თურქეთი) მდებარეობა და მათი განსხვავებულობა, დამოკიდებულება საკითხების მიმართდა მასშტაბები საქართველოზეც ახდენს გავლენას. მეორე მხრივ კი, საქართველოს ისტორიული ტრანზიტული როლი, როგორც აზიისა და ევროპის ერთმანეთთან დამაკავშირებლის, საქართველოს რთულ გეოპოლიტიკას განვითარების შესაძლებლობად გარდაქმნის.

საქართველო, რომელიც ერთ დროს რეგიონის დემოკრატიის შუქურად ითვლებოდა, ბოლო პერიოდში ბრიუსელის კრიტიკის ობიექტი ხშირად გამხდარა როგორც დემოკრატიული უკუსვლის, ისე პოლიტიკური პოლარიზაციის, სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის დაბალი ხარისხის, მედიის თავისუფლებასთან დაკავშირებული გამოწვევების და ახალ კონტექსტში, დეოლიგარქიზაციისა უცილებლობის თვალსაზრისით. კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მისაღებად, საქართველოსთვის ევროკავშირის მიერ წაყენებული 12 წინაპირობა მათ შორის, სწორედ ამ პრობლემების დარეგულირებას ისახავს მიზნად.

2022 წელი საქართველო–ევროკავშირის ურთიერთობებში გარდამტეხ წლად შეიძლება მივიჩნიოთ იმის მიუხედავად, როგორ და რა ვადებში დასრულდება საქართველოს მიერ ევროკავშირის წევრი კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მოპოვება.

საქართველომ, უკრაინამ და მოლდოვამ ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მისაღებად უკრაინაში რუსეთის შეჭრის შემდეგ მალევე მიმართეს. მანამდე სამივე ქვეყანა რამდენიმე წლით უფრო გვიან აპირებდა იგივეს, თუმცა რუსეთის ომმა უკრაინაში პროცესის დასაჩქარებლად ევროპის პოლიტიკური ნება გააძლიერა.

ამ ეტაპზე, ევროკავშირმა საქართველოს წევრობის კანდიდატის სტატუსზე უარი უთხრა, ხოლო მოლდოვასა და უკრაინას ის მიანიჭა: ევროპის საბჭომ გადაწყვიტა ევროკომისიის რეკომენდაციები გაეთვალისწინებინა და საქართველოსთვის ევროპული პერსპექტივა 12 წინაპირობის დაკმაყოფილების შემდეგ, ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსით განემტკიცებინა.

პრესკონფერენციაზე სიტყვით გამოსვლისას, ევროპის საბჭოს პრეზიდენტმა შარლ მიშელმა (Charles Michele) თქვა, რომ ევროკავშირს სურს საქართველოს ხელისუფლებასთან და მის ხალხთან მუშაობა იმისთვის, რომ „პროცესები სწორი მიმართულებით წარიმართოს (2022)“. საქართველოს პოლიტიკურ ლანდშაფტზე თუ იქნება მკვეთრად გამოხატული პოლიტიკური ნება, ძალიან მოკლე დროში იქნება შესაძლებელი უდიდესი პროგრესის მიღწევა, რადგან ვიცი, რომ [ხელისუფლებამ და ხალხმა] იციან, კონკრეტულად რა არის საჭირო ნაბიჯების სწორი მიმართულებით გადასადგმელად“ – თქვა შარლ მიშელმა (Charles Michele, 2022).

ქვეყნის ევროპული მომავლის მხარდასაჭერად, ათასობით საქართველოს მოქალაქე რუსთაველის გამზირზე გამოვიდა და საქართველოს მთავრობას, 12-ივე წინაპირობის შესასრულებლად, კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა მოსთხოვა, რათა საქართველომ ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსი დათქმულ ვადებში მიიღოს.

კვლევის პროცესში ჩატარებული სიღრმისეული ინტერვიუების ნატარივებში კარგად ჩანს კვლევის მონაწილეთა დამოკიდებულება საქართველოს ევროპულობისა და ევროატლანტიკური ინტეგრაციის მიმართ.

საქართველოს მისიაა, დაბრუნდეს დიდ ევროპულ ოჯახში: „საქართველო ევროპულ ოჯახს ეკუთვნის. მთავრობამ უნდა გაითვალისწინოს თავისი ხალხის ნება. ხალხმა კარგა ხანია, გადაწყვიტა განვითარების გზა“. (მამაკაცი, 45 წლის)

კვლევის მონაწილეები თვლიან, რომ მნიშვნელოვანი მოკავშირე, ისეთი როგორც ევროკავშირი და ევროატლანტიკური ალიანსია, აუცილებელია საქართველოსთვის:

„დასავლეთიც უშვებს შეცდომებს. მაგრამ ის საქართველოს ძლიერი მოკავშირეა – ჩვენი სტრატეგიული პარტნიორი ოკუპანტის, რუსეთის წინააღმდეგ“. (ქალი, 65 წლის)

ევროპული ინტეგრაცია ახლაგზრდებისთვის უკეთესი და ნათელი მომავლის საწინდარია.

„ევროპა ნიშნავს უკეთეს განათლებას, ცხოვრების უკეთეს სტანდარტს, უკეთეს უსაფრთხოებას. ჩემს თაობას არ უნდა ჩამოერთვას უფლება, იცხოვროს და ისწავლოს უფრო მდიდარ საქართველოში“. (ქალი, 18 წლის)

დასავლეთი აღიქმება, როგორც საქართველოს უსაფრთხოების, კეთილდღეობისა და ტერიტორიული მთლიანობის მთავარი გარანტორი:

„ერთადერთი გზა, რომ საქართველომ აღიდგინოს ტერიტორიული მთლიანობა და დაიბრუნოს აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი, ევროკავშირის წევრობაზე გადის. ეს არის ჩვენი ღირებულებები. ეს არის ჩვენი გზა კეთილდღეობისკენ“. (მამაკაცი, 76 წლის)

„უკრაინა დღეს ყველას ომს ომობს – ყველასი, ვისაც უნდა დამოუკიდებლობა და დასავლური ღირებულებები. ჩვენ უკრაინის გვერდით უნდა დავდგეთ და საქართველოს ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსისთვის, რომ გავზარდოთ საკუთარი უსაფრთხოება და აღვიდგინოთ ტერიტორიული მთლიანობა“. (ქალი, 41 წლის)

საქართველოს ტრანს-ატლანტიკური ინტეგრაციის მომხრეთა ინტერვიუების ანალიზს, რამდენიმე საინტერესო მიგნებამდე მივყავართ.

პირველი: გამოკვეთილია საერთო მტერი და ეს არის რუსეთის სახელმწიფო. მსგავს ტენდენციასზე საუბრობს Colmorgen (2020)–იც, როდესაც წერს, რომ საზოგადოებრივი აზრის კვლევების მიხედვით, ათასობით კილომეტრით დაშორებული შეერთებული შტატები საქართველოს მოქალაქეების უმრავლესობის მიერ მიჩნეულია მთავარ მეგობრად (CRRC 2019b) მაშინ, როცა მეზობელი რუსეთი, პირიქით, მიჩნეულია მთავარ მტრად (CRRC 2019a).

მეორე: წარსული ტრავმის საქართველოს კოლექტიური მეხსიერება ხშირად ასოცირებულია სწორედ რუსეთთან იქნება ეს 1989 წლის 9 აპრილი; თუ 1992–93 წლებში ომი აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში, თუ 2008 წლის აგვისტოს 5 დღე თუ მიმდინარე მცოცავი ოკუპაცია.

მესამე: საქართველო ევროკავშირსა და NATO–ს მიიჩნევს საკუთარი გრძელვადიანი უსაფრთხოებისა და საქართველოს გაერთიანების მშვიდობიან ნავსაყუდელად, რადგან სწორედ ამ ორ პოლიტიკურ გაერთიანებას მიიჩნევს ბუნებრივ მოკავშირედ რუსული გავლენის წინააღმდეგ.

და ბოლოს: ევროპულ ოჯახში დაბრუნება აღქმულია, როგორც საქართველოს მოქალაქეთა საერთო ბედისწერა. ამას ეხმიანება კორნელი კაკაჩიაც (2012), როდესაც

წერს, რომ საქართველოს საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტები მეტწილად სწორედ იდენტობის მკაფიო აღქმით არის განპირობებული. „საქართველო, გილოცავ შინ დაბრუნებას!“ – ასე მიმართა ევროპის საპარლამენტო ასამბლეის თავმჯდომარემ ლორდ რასელ–ჯონსტონმა საქართველოს დელეგაციას 1999 წელს (Tsintskiladze, 2019). ეს მიმართვა დღემდე რეზონირებს საქართველოს მოქალაქეებში. როგორც კ. კაკაჩია (2012) განმარტავს, სრულფასოვანი ევრო–ატლანტიკური ინტეგრაციის იდეის ერთგულება და მისი აღქმა ერთგვარ „წმინდა ბედისწერად“ ისახება იმ პრიორიტეტებზეც, რაც ქვეყანას საგარეო კურსის მიმართ გააჩნია.

საქართველოს ევრო–ატლანტიკური ინტეგრაციის მომხრეების ინტერვიუების ჩვენს ანალიზს ამყარებს საზოგადოებრივი აზრის უახლესი კვლევებიც. ეროვნული დემოკრატიული ინსტიტუტის- და კავკასიის რესურსების ცენტრის მიერ ჩატარებული (NDI – CRRC. 2022) კვლევის მიხედვით, უკრაინაში რუსეთის შეჭრის შემდეგ საქართველოს მოსახლეობაში გამყარდა მოსაზრება, რომ ქვეყანა ევროკავშირთან და NATO-სთან მჭიდრო ურთიერთობით უფრო მეტ სარგებელს მიიღებს, ვიდრე რუსეთთან დაახლოებით. უკრაინაში ომმა გააძლიერა საზოგადოების განწყობა იმის შესახებ, რომ რუსეთი მეზობელი ქვეყნებისთვის საფრთხეს წარმოადგენს. საგულისხმოა ისიც, რომ 16%-ით გაიზარდა იმ ადამიანების რიცხვი, რომლებიც მიიჩნევენ, რომ საქართველომ რუსეთთან ეკონომიკური ურთიერთობები უნდა შეზღუდოს (ომის დაწყების შემდეგ ეს მაჩვენებელი 23–იდან 39%–მდე გაიზარდა).

კვლევის მიხედვით (NDI - CRRC. 2022) მოქალაქეთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ბოლო ხუთი წლის მანძილზე რუსეთის გავლენა საქართველოზე გაიზარდა და უკმაყოფილოა ამ ფაქტით. მომდევნო ერთი წლის მანძილზე მოსახლეობის უმრავლესობა საქართველოში ეკონომიკური სიტუაციის გაუარესებას (80%), პრო-რუსული ძალების გააქტიურებასა (57%) და რუსეთის სამხედრო აგრესიას (52%) ელის. ასეთი მოლოდინების ფონზე, მოქალაქეთა უმრავლესობა საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანებას კვლავაც მყარად უჭერს მხარს და ევროკავშირს ყველაზე სასურველ ეკონომიკურ და პოლიტიკურ პარტნიორად ასახელებს.

ევროკავშირში გაწევრიანებას ჯამშიგანმოკითხულთა 82% ემხრობა, რის მიზეზადაც, ძირითადად, ეკონომიკურ სარგებელსა და მეტ უსაფრთხოებას ასახელებენ. საქართველოს მოქალაქეებს მიაჩნიათ, უკრაინაში ომი რუსეთისა (67%) და პუტინის (11%) ბრალია. ამასთან, მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას დადებითი დამოკიდებულება აქვს როგორც უკრაინელი ხალხის (98%), ასევე უკრაინის მთავრობის (87%) მიმართ. რუსეთის მოქალაქეების საქართველოში მიგრაციის ფონზე, მოქალაქეების უმრავლესობა რუსეთთან სავიზო რეჟიმის შემოღებას ემხრობა. ამასთანავე, საქართველოს პრეზიდენტის უკრაინაში ომზე საპასუხო ქმედებებს დადებითად მოსახლეობის 63%, ხოლო პრემიერ-მინისტრის ქმედებებს - 46% აფასებს.

ალან გილამი (2022), NDI საქართველოს ოფისის დირექტორი აRნიშნავს, რომ *“კვლევის შედეგები ნათლად აჩვენებს, რომ უკრაინაში რუსეთის სამხედრო აგრესიის ფონზე, საქართველოს მოსახლეობა ქვეყნის ევროპული და ევრო-ატლანტიკურ ინტეგრაციის ერთგული რჩება. საზოგადოების ამგვარი თანმიმდევრული განწყობები, ქვეყნის დასავლური კურსის მიმართ, მთავრობის, პარლამენტის, ადგილობრივი*

ხელისუფლებისა და პოლიტიკური პარტიებისთვის კონკრეტული ქმედებებისკენ მოწოდებად უნდა იყოს აღქმული.”

- “კვლევიდან ისიც ჩანს, რომ მოსახლეობა უკრაინაში რუსეთის სამხედრო აგრესიის ეკონომიკურ შედეგებზე წუხს. ამის ფონზე, მნიშვნელოვანია, რომ გადაწყვეტილების მიმღებმა პირებმა და პოლიტიკოსებმა ძალისხმევა მოსახლეობისთვის საჭიროებო საკითხების - სამუშაო ადგილები, სიღარიბე, ფასების ზრდა - მოგვარებისკენ მიმართონ.”

კვლევის მიხედვით (NDI - CRRC (2022) ევროკავშირის მსგავსი დინამიკაა NATO-სთან მიმართებითაც. მიუხედავად საზოგადოებაში გავრცელებული მოსაზრებისა (69%), რომ NATO-ში გაწევრიანება რუსული სამხედრო აგრესიის ალბათობას გაზრდის, მოსახლეობის უმრავლესობა (71%) მაინც მხარს უჭერს საქართველოს ტრანს-ატლანტიკურ ინტეგრაციას. მეტიც, უკრაინაში ომის დაწყების შემდეგ უფრო მეტი ადამიანი(53%) ფიქრობს, რომ NATO საქართველოს უსაფრთხოებას უზრუნველყოფს, ვიდრე ომის დაწყებამდე (40%).

საქართველოს დასავლური ორიენტაცია – მისი ‘ევროპელობა’ ახალი ფენომენი ნამდვილად არ არის. საბჭოთა პერიოდში, მაგალითად, კომუნიზმი აღქმული იყო, როგორც სწორედ ევროპული, დასავლური ორიენტაციის თვალსაზრისით უკუსვლა და ეს უკუსვლა განისაზღვრებოდა დასავლეთთან კონტრასტის საფუძველზე (Tsintskaladze, 2019).

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, საქართველომ ოფიციალურად განსაზღვრა დასავლური ღირებულებები, როგორც ქვეყნის განვითარების საფუძველი. ეს მიზანი განმტკიცებული იყო „საგარეო პოლიტიკის სტრატეგიით“ (2006-2009), რომელიც ხაზს უსვამდა საქართველოს კავშირებს ევროპასთან, როგორც გეოგრაფიული, ისე პოლიტიკური, კულტურული და ღირებულებითი თვალსაზრისით. მოგვიანებით, საქართველოს ევრო-ატლანტიკური კურსის ერთგულება, როგორც ღირებულება, ჩაიწერა საქართველოს კონსტიტუციაშიც.

საქართველომ კიდევ ერთხელ დაამტკიცა ევროპული იდეალების ერთგულება, როცა ხელი მოაწერა ასოცირების ხელშეკრულებას. ამ ხელშეკრულების მიხედვით, ოფიციალურად არის დეკლარირებული, რომ საქართველოსა და ევროკავშირის თანამშრომლობა ეფუძნება გაზიარებულ მიზნებსა და იდეალებს – როგორებიცაა დემოკრატია, კანონის უზენაესობა, ადამიანის უფლებები და სოციალური კოჰესიურობა.

ამ კონტექსტშიც, საქართველოს კომპლექსური პოლიტიკური გეოგრაფია ყოველთვის იყო და დარჩება რეალობად, რომელსაც გვერდს ვერ ავუვლით არა მხოლოდ პოლიტიკური თუ ეკონომიკური, არამედ – იდენტობის დონეზეც.

ზოგჯერ, საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობა მისი ინტერესების შესაბამისად მუშაობს, თუმცა ზოგჯერ – ამ ინტერესების წინააღმდეგ. ამის მაგალითია, საფრანგეთის პრეზიდენტის ემანუელ მაკრონის (Emmanuel Macron, 2022) ერთ-ერთი ბოლო განცხადება საქართველოსთან დაკავშირებით, როდესაც მან თქვა, რომ „მოლდოვა არ უნდა დის-ასოცირდეს უკრაინისგან“ კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მიღების

პროცესში – მაშინ როცა საქართველო, სომხეთსა და აზერბაიჯანთან ერთად, არ არის იგივე გეოპოლიტიკურ სიტუაციაში: „არის ქვეყნების ჩვენი კატეგორია, რომლებიც აღმოსავლეთ პარტნიორობის ნაწილი არიან, მაგრამ რომელთა უსაფრთხოება, გეოპოლიტიკური სიტუაცია განსხვავებულია. საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი ძალიან ახლო მეგობარი ქვეყნები არიან, თუმცა, თუ დააკვირდებით, გეოპოლიტიკურად და გეოგრაფიულად ისინი იგივე სიტუაციაში არ არიან [როგორც უკრაინა და მოლდოვა]“.

Colmorgen (2020)–ის მიხედვით, საქართველო სხვადასხვა ვითარებაში საკუთარი მიკუთვნებულობის სხვადასხვა ასპექტებს ააქტიურებს. უნდა ვივარაუდოთ, რომ ამის მიზეზი მისი კომპლექსური გეოპოლიტიკური მდებარეობაც არის: კომპლექსურ რეგიონში თვითდამკვიდრებისთვის, საქართველოს სჭირდება საკუთარი იდენტობის პოზიტიური წარმოჩინება. სწორედ გეოგრაფიული, გეოპოლიტიკური მდებარეობის და ასევე ისტორიული მემკვიდრეობის გამო, საქართველოს წინაშე პოტენციური იდენტობების მრავალფეროვანი არჩევანია – ამდენად, საქართველომ სწორად უნდა განსაზღვროს, რომელი იდენტობა აქციოს დომინანტურად და რომლისგან სჯობს, რომ მაქსიმალურად დისტანცირდეს.

ეს ყველაფერი, ცხადია, დამატებით კვლევას მოითხოვს, თუმცა, ამ სტატიის დასაწყისში მოყვანილ პოლიტიკური იდენტობის განმარტებას თუ დავუბრუნდებით, ჩანს, რომ ამ დრომდე საქართველოს დასავლური იდენტობა ჰქონდა მკაფიოდ არჩეული, რადგან მისი პოლიტიკური ყოველდღიურობა და საგარეო კურსი ეყრდნობოდა სწორედ საქართველოს დიდ ევროპულ ოჯახში დაბრუნების იდეას.

როგორც სტივენ ჯონსმა დაწერა თავის ცნობილ ნაშრომში საქართველოს შესახებ: „ბევრ ქართველს მიაჩნია, რომ ისინი ევროპელები არიან, მაგრამ – არა–ევროპული გარემოს მახეში“ (Jones 2004: 99).

შემდეგ სტატიაში, შევეცდებით ერთმანეთთან დავაკავშიროთ საქართველოს გეოგრაფია, გეოპოლიტიკა და მის პოლიტიკურ იდენტობასთან დაკავშირებული კულტურული ღირებულებები იმისთვის, რომ უკეთ დავინახოთ, არის თუ არა გეოგრაფია გადამწყვეტი მნიშვნელობის, როცა საქმე საქართველოს პოლიტიკური იდენტობის ჩამოყალიბებას და განმტკიცებას ეხება.

გამოყენებული ლიტერატურა

- [1] Political Psychology: Situations, Individuals, and Cases - David Patrick Houghton; Routledge Taylor & Francis Group 2009
- [2] Tajfel, H., & Turner, J. C. 1979. "An integrative theory of intergroup conflict". In W. G. Austin & S. Worchel. *The social psychology of intergroup relations*. Monterey, CA: Brooks/Cole. pp. 33–47
- [3] Tajfel, H. (1981) *Human Groups and Social Categories* Cambridge: Cambridge University Press;
- [4] Turner, J. C., Hogg, M.A., Oakes, P.J., Reicher, S. D., and Wetherell, M.S. (1987) *Rediscovering the Social Group: A Self-Categorization Theory*. Oxford: Blackwel

[5] Roccas, S. and Brewer, M.B .2002. Social Identity Complexity. *Personality and Social Psychology Review* 2002, Vol. 6, No. 2, 88-106

[6] Huddy, L. (2001) From Social to Political Identity: A Critical Examination of Social Identity Theory. *Political Psychology*, Mar., 2001, Vol. 22, No. 1 (Mar., 2001), pp. 127-156
Published by: International Society of Political Psychology Stable

[7] The Caucasus Research Resource Centers, 2018; Survey on liberal and conservative values;

https://caucasusbarometer.org/en/rs2018ge/NCNDGEO/?fbclid=IwAR3lVEsbCJuVPw_ORyS96QRJTXSUJ5UneoxStM6xjuCc8DDdp49TKHxXiCI

[8] The Caucasus Research Resource Centers, 2021. Knowledge of and attitudes toward the EU in Georgia,

<https://caucasusbarometer.org/en/eu2021ge/IDENTITY/?fbclid=IwAR0yl-XdlIt06lPI8w8VtlmKw9iZTnrrnBtFFZC5EHw0F1OMfqTxKLJQMSOI>

[9] The Caucasus Research Resource Centers,2020.

https://caucasusbarometer.org/en/dw2020ge/GEOISEU/?fbclid=IwAR0tn0xDwE2dWOk4D6fQwfs9Qmt1Ls4JhAJULaoiGc9MxAi1tNj5_ah4JV0

[10] Charles Michele to the Parliament Plenary session

<https://www.consilium.europa.eu/en/press/press-releases/2022/07/06/report-by-president-charles-michel-to-the-european-parliament-plenary-session/>

[11] Colmorgen, Petra. 2020.The Friends So Far, The Foes So Near? Ambiguities Of Georgia's Othering. *Ideology And Politics Journal* N2(16)

The Caucasus Research Resource Center:

[12] CRRC: The Future of Georgia: Attitudes towards Europe.2021.

[13] CRRC: Survey on liberal and conservative values. 2018.

[14] CRRC: The Future of Georgia.2020.

[15] CRRC: Knowledge of and attitudes toward the EU in Georgia.2021

[16] CRRC: NDI Poll- Georgians Expect Economic Decline and Challenges Ahead, But Remain Steadfast in Their Stated Aim of European and Euro-Atlantic Integration. April 21. 2022

<https://www.ndi.org/publications/ndi-poll-georgians-expect-economic-decline-and-challenges-ahead-remain-steadfast-their>

[17] CRRC 2019 b Caucasus Barometer

[18] CRRC 2019 a Caucasus Barometer

[19] Kakachia, Kornely. Georgia's identity-driven foreign policy and the struggle for its European destiny. *Caucasus Analytical Digest* 37(March): 4–7. 2012.

[20] Tsintskiladze, Inga. European Integration and Identity Issues in Georgia. *Eastern Europe-Regional Studies*.2019

[21] Kakachia, Kornely. Georgia's identity-driven foreign policy and the struggle for its European destiny. *Caucasus Analytical Digest* 37(March): 4–7. 2012.

[22] The Caucasus Research Resource Centers, 2021; The Future of Georgia: Attitudes towards Europe

<https://caucasusbarometer.org/en/eu2021ge/IDENTITY/?fbclid=IwAR0yl-XdIlt06lPI8w8VtlmKw9iZTnrnBtFFZC5EHw0F1OMfqTxKLJQMSOI>

[22] Media Development Foundation, 2015; Youth Attitudes towards European Integration; Euro communicator Publications Series

[23] The Caucasus Research Resource Centers, 2020. The Future of Georgia;

[24] Colmorgen, Petra. 2020.The Friends So Far, The Foes So Near? Ambiguities Of Georgia's Othering. *Ideology And Politics Journal* N2(16) 2020Report by president Charles Michel to the European

[25] Emmanuel Macron's speech on Georgia's EU candidacy

<https://www.politico.eu/article/macron-moldova-eu-candidate-status-silent-georgia/>

Article received 2022-08-17